თ ა ვ დ ე ბ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

___.___.2024 ქ. _____

შპს „_____“ (ს/ნ _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის – _____ _____–ის (პ/ნ _____) სახით, შემდეგში წოდებული როგორც – **„თავდები“**, ერთის მხრივ და **შპს „_____“** (ს/ნ _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ (პ/ნ _____) სახით, შემდეგში წოდებული როგორც – **„კრედიტორი“**, მეორეს მხრივ, **„კრედიტორი“** და **„თავდები“** ერთად წოდებულნი როგორც **„მხარეები“**, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში – **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„ხელშეკრულებით“** და მასზე თანდართული თავდებობის განცხადებით (დანართი N1) **„თავდები“** კისრულობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას **„კრედიტორის“** წინაშე **„მოვალის“** მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

2. თავდებობის მოცულობა

2.1.თავდებობის პირობები:

2.1.1. **„მოვალე“** – ფ/პ _____ _____ (პ/ნ_____);

2.1.2. **„ვალდებულება“ „მოვალესა“** და **„კრედიტორს“** შორის _____._____.2022 N___ _____–ის ხელშეკრულების საფუძველზე **„მოვალის“** მიერ **„კრედიტორისთვის“** გადასახდელი (არსებული ან/და სამომავლო) ფულადი ვალდებულება;

2.1.3. თავდებობის მაქსიმალური (ზღვრული) თანხა – _____ ლარი;

2.1.4. თავდებობის ვადა _ 5 წელი;

2.1.5. თავდებობის ფორმა – სოლიდარული თავდებობა;

2.1.6. თავდებობის ფარგლები – თავდებობა უზრუნველყოფს **„მოვალის“** ძირითად ვალდებულებას და მისგან გამომდინარე პირგასამტეხლოს, სასამართლო, სასამართლოს გარეშე და სააღსრულებო ხარჯებს, ზიანს.

2.2. **„თავდები“** კისრულობს პასუხიმგებლობას არა მხოლოდ **„ხელშეკრულების“** დადების დროისათვის არსებულ ვალდებულებაზე, არამედ იმ ვალდებულებებზეც, რომელიც წარმოიშობა სამომავლოდ **„კრედიტორსა“** და **„მოვალეს“** შორის.

3. **„მხარეთა“** უფლება-მოვალეობები

3.1. **„თავდები“** ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს **„მოვალის“** ვალდებულების შესრულება **„კრედიტორის“** წინაშე;

3.1.2. დაუყოვნებლივ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება თავდებობის პირობების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, **„კრედიტორმა“** მოთხოვნა წაუყენა თუ არა **„მოვალეს“**.

3.2. **„კრედიტორი“** ვალდებულია:

3.2.1. შეატყობინოს **„თავდებს“** მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შესახებ;

3.2.2. მოსთხოვოს **„თავდებს“** ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება.

3.3. თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე კონფიდენციალური ინფორმაცია.

4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

4.1. **„ხელშეკრულება“** ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **„მხარეთა“** მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

4.2. **„ხელშეკრულების“** ვადამდე ადრე შეწყვეტა ან **„ხელშეკრულებაში“** ცვლილების შეტანა ხდება **„მხარეთა“** შეთანხმებით, წერილობითი ფორმით;

4.3. **„ხელშეკრულება“** შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

_____ /_____ _____, დირექტორი/

„კრედიტორი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____, დირექტორი/

„კრედიტორს“ - **შპს „**_____“-ს (ს/ნ _____)

„თავდების“ - შპს „_____“-ის (ს/ნ _____)

მისამართი: _____;

ტელეფონი: 599 _____

17.08.2022, ქ. თბილისი

თ ა ვ დ ე ბ ო ბ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად ვიღებ სოლიდარულ პასუხიმგებლობას თქვენ წინაშე **„მოვალის“** - ფ/პ _____ _____-ის (პ/ნ _____) მიერ ____._____.2024 N___ _____-ის ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევებზე, როგორც ამჟამად არსებულ ვალდებულებაზე, ასევე სამომავლო ვალდებულებებზე.

პატივისცემით,

_____ /დირექტორი/

/_____ _____ (პ/ნ _____)/

შპს „_____“ **(ს/ნ** _____)

„თავდები“